

შპს ენერჯი პარტს

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4-5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6-7

განმარტებითი შენიშვნები

8-23

შპს ენერჯი პარტს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,657	16,422
არამატერიალური აქტივები	5	0	45
		8,657	16,468
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	88,284	88,220
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	426,133	401,929
მარაგები	8	1,508,146	1,358,219
სხვა მიმდინარე აქტივები	9	651	343
		2,023,215	1,848,711
მთლიანი აქტივები		2,031,872	1,865,179
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,580,865	1,431,258
გადაფასების რეზერვი		0	0
		1,582,865	1,433,258
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
ანარიცხები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა		0	0
გადასახდელი პროცენტი		0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	403,121	348,251
საგადასახადო ვალდებულებები	11	29,254	42,249
გადასახდელი დივიდენდი		0	0
მიღებული ავანსები	12	16,632	41,421
		449,007	431,921
მთლიანი ვალდებულებები		449,007	431,921
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,031,872	1,865,179

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 ივლისს

დირექტორი

შპს ენერჯი პარტს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,657	16,422
არამატერიალური აქტივები	5	0	45
		8,657	16,468
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	88,284	88,220
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	426,133	401,929
მარაგები	8	1,508,146	1,358,219
სხვა მიმდინარე აქტივები	9	651	343
		2,023,215	1,848,711
მთლიანი აქტივები		2,031,872	1,865,179
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,580,865	1,431,258
გადაფასების რეზერვი		0	0
		1,582,865	1,433,258
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
ანარიცხები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა		0	0
გადასახდელი პროცენტი		0	0
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	403,121	348,251
საგადასახდლო ვალდებულებები	11	29,254	42,249
გადასახდელი დივიდენდი		0	0
მიღებული ავანსები	12	16,632	41,421
		449,007	431,921
მთლიანი ვალდებულებები		449,007	431,921
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,031,872	1,865,179

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 ივლისს.

დირექტორი



შპს ენერჯი პარტს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		12/31/2024	12/31/2023
ამონაგები	13	4,100,165	4,350,638
თვითღირებულება	14	(2,666,505)	(2,854,526)
საერთო მოგება		1,433,660	1,496,112
სხვა შემოსავლები	15	74	76
საერთო & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(253,547)	(263,787)
მიწოდების დანახარჯები	17	(389,043)	(299,817)
ძირითადი საშუალებებიდან მიღებული მოგება/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(10,821)	(5,488)
სხვა ხარჯები		(500)	-
საოპერაციო მოგება		779,824	927,095
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა			
მოგება დაბეგვრამდე		779,824	927,095
მოგების გადასახადი		(93,875)	(116,453)
პერიოდის მოგება		685,949	810,643
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		685,949	810,643

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 ივლისს.

დირექტორი:

შპს ენერჯი პარტს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		12/31/2024	12/31/2023
ამონაგები	13	4,100,165	4,350,638
თვითღირებულება	14	(2,666,505)	(2,854,526)
საერთო მოგება		1,433,660	1,496,112
სხვა შემოსავლები	15	74	76
საერთო & აღმინისტრაციული ხარჯი	16	(253,547)	(263,787)
მიწოდების დანახარჯები	17	(389,043)	(299,817)
ძირითადი საშუალებებიდან მიღებული მოგება/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(10,821)	(5,488)
სხვა ხარჯები		(500)	-
საოპერაციო მოგება		779,824	927,095
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა			
მოგება დაბეგვრამდე		779,824	927,095
მოგების გადასახადი		(93,875)	(116,453)
პერიოდის მოგება		685,949	810,643
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		685,949	810,643

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 ივლისს.

დირექტორი:



შპს ენერჯი პარტს

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	2,000	1,280,363	1,282,363
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		810,643	810,643
პერიოდის სრული შემოსავალი	-	810,643	810,643
გაცემული დივიდენდი		(659,747)	(659,747)
წინა წლის სხვაობა	-		-
2023 წლის 31 დეკემბერი	2,000	1,431,258	1,433,258
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		685,949	685,949
პერიოდის სრული შემოსავალი	-	685,949	685,949
გაცემული დივიდენდი		(531,958)	(531,958)
წინა წლის სხვაობა	-	(4,384)	(4,384)
2024 წლის 31 დეკემბერი	2,000	1,580,865	1,582,865

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 ივლისს..

დირექტორი:

შპს ენერჯი პარტს

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	2,000	1,280,363	1,282,363
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		810,643	810,643
პერიოდის სრული შემოსავალი	-	810,643	810,643
გაცემული დივიდენდი		(659,747)	(659,747)
წინა წლის სხვაობა	-		-
2023 წლის 31 დეკემბერი	2,000	1,431,258	1,433,258
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		685,949	685,949
პერიოდის სრული შემოსავალი	-	685,949	685,949
გაცემული დივიდენდი		(531,958)	(531,958)
წინა წლის სხვაობა	-	(4,384)	(4,384)
2024 წლის 31 დეკემბერი	2,000	1,580,865	1,582,865

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 ივლისს..

დირექტორი:



შპს ენერჯი პარტს

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

1. ზოგადი ინფორმაცია

ენერჯი პარტსი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, აკ.ბელიაშვილის ქ. 167, საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-4 კილომეტრი. მისი ძირითადი საქმიანობაა მძიმე ტექნიკის სათადარიგო ნაწილებისა და საპოხი საშუალებების რეალიზაცია.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2012 წლის 18 ოქტომბერი.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - აჰმეტ ბაკი აიდოლან.

კომპანიის წილის მფლობელი:

აჰმეტ ბაკი აიდოლან - 50%

სუჰა ფიდანო - 50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მკიერ და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კალსიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის

თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღვრისხო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ანგადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდებირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელის მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის / ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის. დივიდენდის გამოცხადების თარიღში ხორციელდება პარტნორებზე დივიდენდის გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობამდე მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 3-5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 5-7 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ

განსაზღვრა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეედარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და

ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური

საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების

ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყოვნებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება ნაში, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაეცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსელოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განსაზღვრა.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილ წილის უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შედეგად.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები რომელსაც, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული სესხით სარგებლობასთან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, როგორც ეს არწერილია მე-11 განყოფილებაში - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“; და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, რომელსაც აღიარებულია მე-20 განყოფილების - „იჯარა“ - შესაბამისად;

უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

USD/ლ EUR/ლ

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს 2.6894 2.9753

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს 2.8068 2.9306

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შემდეგ მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შესაძლებელს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

შპს ენერჯი პარტს

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

4.ძირითადი საშუალებები:

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2023	37,051	34,113	71,164
შემოსვლა	331		331
გადაფასება			-
გასვლა	-		-
31 დეკემბერი 2024	37,381	34,113	71,494
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2023	(27,296)	(27,446)	(54,742)
პერიოდის ცვეთა	(3,651)	(4,445)	(8,095)
გაუფასურება	-	-	-
გასვლა	-	-	-

31 დეკემბერი 2024	(30,946)	(31,891)	(62,837)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	9,755	6,667	16,422
31 დეკემბერი 2024	6,435	2,222	8,657

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი
- კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით და გირავნობით

5. არამატერიალური აქტივები

- კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს ბუღალტრული პროგრამა
- არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით.
- არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში.
- ნარჩენი საბალანსო ღირებულებები წლების მიხედვით:
31.12.2023 - 45 ლარი
31.12.2024 - 0 ლარი
2024 წლის დარიცხული ამორტიზაცია განისაზღვრა 45 ლარის ოდენობით.

შპს ენერჯი პარტს

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	5,878	119
ფულადი სახსრები ბანკში	82,406	88,102
სულ	88,284	88,220

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
--	------	------

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	426,133	401,929
სულ	426,133	401,929

კომპანიას სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 2024 წელს არ უღიარებია.

8. მარაგები

	2024	2023
გასაყიდად გამიზნული საქონელი საწვავი	1,508,146	1,358,219
სულ	1,508,146	1,358,219

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 2,666,505 ლარი. მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

შპს ენერჯი პარტს

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

9. სხვა მიმდინარე აქტივები

	2024	2023
გადახდილი ავანსი		-

წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	0	0
ქონების გადასახადის საავანსო	201	293
სახელმწიფო ბაუი	450	50
სულ	651	343

10.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები ადგილობრივი კომპანიების მიმართ	(144,658)	(34,982)
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი კომპანიების მიმართ	(258,463)	(313,269)
სულ	(403,121)	(348,251)

11.საგადასახადო ვალდებულებები

	2024	2023
მოგების გადასახადი	(8,675)	(10,588)
ქონების გადასახადი	(125)	(293)
საშემოსავლო გადასახადი	(5,344)	
დღგ	(15,110)	(18,373)
სულ	(29,254)	(29,254)

შპს ენერჯი პარტს

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

12.მიღებული ავანსები

	2024	2023
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	(16,632)	(41,421)
სულ	(16,632)	(41,421)

13. ამონაგები

	2024	2023
დღგ-თი დასაბეგრი შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	4,097,875	4,349,168
დღგ-სგან გათავისუფლებული შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	2,290	1,470
ამონაგების მომსახურების განწევიდან	-	-
სულ	4,100,165	4,350,638

14. თვითღირებულება

	2024	2023
მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,666,505)	(2,854,526)
განწეული მომსახურების თვითღირებულება	-	-
სულ	(2,666,505)	(2,854,526)

15. სხვა შემოსავლები

	2024	2023
სახელმწიფოს მიერ სუფსიდირება საშემოსავლო გადასახადში	-	-
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	74	76
სულ	74	76

შპს ენერჯი პარტს

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

16. საერთო & ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(181,896)	(187,624)
ბანკის საკომისიო	(21,515)	(21,057)
საკანცელარიო ხარჯი	(751)	(844)
სოციალური დანარიცხები	(7,795)	(6,497)
კომუნიკაციის ხარჯები	(16,617)	(16,311)
საოფისე ინვენტარი	(101)	(694)
რემონტის დანახარჯები	(51)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(7,653)	(6,378)
კომპიუტერის ხარჯები	(310)	(635)
ცვეთა და ამორტიზაცია	(8,095)	(9,598)
სხვა საგადასახლო ხარჯი	(1,193)	(1,305)
სხვა საერთო ხარჯი	(7,569)	(12,843)
სულ	(253,547)	(263,787)

17. მიწოდების დანახარჯები

	2024	2023
რეკლამის ხარჯი	-	-
შრომის ანაზღაურება	(277,215)	(191,352)
საიტარო ქირა	(110,760)	(106,686)
სხვა დანახარჯი	(1,068)	(1,780)
სულ	(389,043)	(299,817)

18. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

	2024	2023
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება	1,401,356	1,610,122
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(1,412,177)	(1,615,610)
სულ	(10,821)	(5,488)

შპს ენერჯი პარტს

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

19. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სასაწყობო ფართი და მაღაზია. იჯარის საშუალო ვადა 5 წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი იჯარის გადასახდელი - 119000 ლარი;

ერთიდან ხუთ წლამდე გადასახდელი იჯარის გადასახდელი - 430 000 ლარი;

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 110,760 ლარს.

2024 წლის ბოლოს კომპანიის წინასწარ ანაზღაურებული იჯარის მომსახურება შეადგენს 0 ლარს.

20. საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 2 000 ლარს, რომელიც სრულად შევსებულია.

21. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკის მართვა

კომპნია ექვემდებარება რისკებს, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ პუნქტებში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის პროცესები და მეთოდები, რომელიც გამოიყენება მათ გასაზომად. შემდგომი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია ამ ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას აკისრია მთელი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის განსაზღვრისთვის და მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, რომ შექმნას და აამუშავოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას კომპანიის ფინანსურ მართვაში.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანი არის ისეთი პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც შეამცირებს რისკებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. დეტალები ამ პოლიტიკასთან მიმართებაში დადგენილია ქვემოთ. კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს.

შპს ენერჯი პარტს

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- საპროცენტო განაკვეთების რისკი;

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლიდანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების რისკი, შემდეგია:
ფინანსური აქტივები:

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	5,878	119
ფულადი სახსრები ბანკში	82,406	88,102
სულ	88,284	88,220

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	426,133	401,929
სულ	426,133	401,929

ფინანსური ვალდებულებები:

10.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები ადგილობრივი კომპანიების მიმართ	(144,658)	(34,982)
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი კომპანიების მიმართ	(258,463)	(313,269)
სულ	(403,121)	(348,251)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი სახსრების მართვით. ეს არის რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დადგება მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მუშაობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ნაღდი ფულის ქონას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისთვის.

საჭიროების შემთხვევაში კომპანიის დამატებითი დაფინანსების წყარო არის სააქციო კაპიტალი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს და არც განიხილავს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებით სარგებლობას.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით

გამონვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

კომპანიის მდგომარეობა უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის რისკის კუთხით 2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	85,794	2,490	0
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	426,133		
მოლიანი ფინანსური აქტივები	511,927	2,490	0

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	144,658	258,463	0
-------------------------------	---------	---------	---

22. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ხელფასი	117,985	126,819
სულ	117,985	126,819

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 20 ივლისს.

დირექტორი:

გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

კომპანიის მდგომარეობა უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის რისკის კუთხით 2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	85,794	2,490	0
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	426,133		
მთლიანი ფინანსური აქტივები	511,927	2,490	0

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	144,658	258,463	0
-------------------------------	---------	---------	---

22. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ხელფასი	117,985	126,819
სულ	117,985	126,819

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 20 ივლისს.

დირექტორი:

